



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 121

2016 წლის 14 ივნისი

ქ. თბილისი

2016 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ

„თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა და (TUBITAK) და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის მარიამ ქებურიას სამსახურებრივი ბარათის (N675671, 14.06.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2016 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსზე პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს განაცხადი ერთობლივი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს საქართველოდან პროექტის ხელმძღვანელისა და კვლევითი ჯგუფის წევრების ბიოგრაფიული მონაცემები (CV)-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს თურქეთის მხრიდან თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსზე ინდივიდუალურ სამეცნიერო-კვლევით მოკლევადიან ვიზიტზე პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირის განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს სააპლიკაციო ფორმა ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი მოკლევადიანი ვიზიტისთვის ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი მოკლევადიანი ვიზიტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევით მოკლევადიან ვიზიტზე მასპინძელი ორგანიზაციის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
12. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

